დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ-აკაკიწერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

10.05.24

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშისშეფასებისპრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი ნინო

გვარი პოპიაშვილი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ფილოლოგია
2	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მე-8
4	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოლოგიის დოქტორი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	60
9	განხორციელების ადგილი[5]	საქართველო, 4600, ქუთაისი, თამარ მეფის №59. სასწავლო კორპუსები №1, №3.
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №391310, 06/04/2023

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	23.03.2023
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	23.03.2024
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	23.03.2030

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	*			
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა	*			
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	*			
4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	*			

5. სწავლებისხარისხისგან ვითარებისშესაძლებლო ბები		*		

შესასრულებელირეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გასცეს უფრო მკაფიო რეკომენდაციები პროგრამაზე მუშაობისას გარე შემფასებლის მიერ გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებთან დაკავშირებით, აჩვენოს პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს, ამ ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა და მათი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, შესაბამისი გარემოებების რისკი;
2. თავიდან უნდა იქნას აცილებული სასწავლო კურსების შინაარსისა და თემატური გადაფარვა.
3. რეკომენდებულია, რომ ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა ქართველური ლინგვისტიკის ნაწილში მოიცავდეს დარგის აღიარებულ სამეცნიერო ტენდენციებს და მიმართულებებს.
4. რეკომენდებულია, სილაბუსებში იყოს შეტანილი უფრო ახალი პუბლიკაციები და ჩანაცვლდეს ძველი რუსულენოვანი პუბლიკაციები.
5. რეკომენდირებულია სასწავლო კურსების სახელები და შინაარსი შეესაბამებოდეს სფეროში დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას, რათა თავიდან იქნას აცილებული სამეცნიერო კვლევების გაურკვევლობა და მარგინალიზაცია. დახვეწოს ინგლისურ ენაზე სავალდებულო ბიბლიოგრაფიის სტანდარტები. რეკომენდებული სასწავლო კურსები: „საერთო ქართველური ენისა და ქართველური ქვესისტემების ფონემიური სტრუქტურა (ისტორიული დინამიკა)“, „ქართული ლიტერატურული ენის გრამატიკის აქტუალური საკითხები (ქართველურ ქვესისტემებთან მიმართებაში)“ ისე გადამუშავდეს, რომ შეესაბამებოდეს ენათმეცნიერების სფეროში დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას.
6. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „ლინგვოკულტუროლოგია“ გადახედვა და დოქტორანტურის შესაბამისი შინაარსისა და უახლესი ლიტერატურის შეტანა.
7. რეკომენდირებულია სადოქტორო ნაშრომების შემუშავება თანამედროვე კვლევის დიზაინის მიხედვით. ასევე, სადოქტორო ნაშრომებს უნდა დაერთოს ინგლისური რეზიუმეები.
8. რეკომენდებულია, დაწესებულებამ წაახალისოს აკადემიური პერსონალი, გამოაქვეყნოს სტატიები დოქტორანტებთან ერთად. დოქტორანტებისთვის

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

სასარგებლო იქნება მათი ხელმძღვანელის რჩევები კვლევით პუბლიკაციებში. ეს გამოიწვევს მაღალი ხარისხის პუბლიკაციებს უნივერსიტეტის სახელით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე გამოთქმულია რვა რეკომენდაცია. უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ ყველა რეკომენდაცია მისაღები და გაზიარებულია, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაკვირვება გვაჩვენებს რომ სრულად არის შესრულებული ექვსი რეკომენდაცია, ხოლო ორი რეკომენდაცია შესრულებულია მეტწილად.

რჩევ(ებ)ი[8]

1. სასწავლო პროგრამები უნდა იყოს შედარებული სხვა აკრედიტებულ პროგრამებთან;
2. სასურველია, ფაკულტეტს ყველა სილაბუსი ჰქონდეს ინგლისურ ენაზე და ისინი გამოქვეყნდეს ფაკულტეტის ვებგვერდზე.
3. გირჩევთ, შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში აჩვენოთ, თუ გაუმჯობესების რა სფეროები გამოიკვეთა შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე და რა გამოცდილება იქნა გაზიარებული პროგრამაზე მუშაობისას, ასევე რა მიმართულებით განაპირობა ამ მოსაზრებებმა გარკვეული ცვლილებები პროგრამაში.
4. შრომის ბაზრის კვლევა ეფუძნებოდა უფრო რაოდენობრივ კვლევას და ნაკლებად იყო ორიენტირებული კვლევის შედეგების ერთიან შეჯამებაზე და იმ გარემოებების გამოკვეთაზე, რასაც ამ ეტაპზე მოითხოვს შრომის ბაზარი ამ მიმართულებით.
5. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ განათლება ხელმისაწვდომი იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის. გამოყენებული უნდა იყოს შეფასების სხვადასხვა ფორმა, რათა სწავლის სხვადასხვა უნარისა და კომპეტენციის მქონე მოსწავლეებს ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები აკადემიური მოსწრებისთვის. სპეიალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებს არამხოლოდ ფიზიკური სირთულეები აქვთ, არამედ მნიშვნელოვანია, შეფასების და პრეზენტაციის ფორმების მორგება მათ საჭიროებებზე.
6. სასურველია სასწავლო კურსი „ლინგვოკულტუროლოგიის“ სათაური შეიცვალოს, როგორც „ენა და კულტურა“.

---

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე გამოითქვა 9 რჩევა. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში არ არის მსჯელობა რჩევების შესახებ, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ირკვევა, რომ რჩევების ნაწილი შესრულებულია. მაგ. სასწავლო კურსს, „ლინგვოკულტუროლოგია“, შეეცვალა სახელწოდება.

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდებულია, რომ ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა ქართველური ლინგვისტიკის ნაწილში მოიცავდეს დარგის აღიარებულ სამეცნიერო ტენდენციებს და მიმართულებებს.
შეფასება	უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ რეკომენდაცია შესრულებულია და მტკიცებულებების სახით მოწოდებული აქვს სამი სასწავლო კურსის სილაბუსი. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებიდან ირკვევა, რომ სილაბუსები გადამუშავებულია და ასახულია დარგში არსებული განსხვავებული

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	სამეცნიერო შეხედულებები. სასწავლო კურსების შესახებ დეტალური მსჯელობა იხ. რეკომენდაცია 4.
რჩევა[15]I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	საგანმანათლებლო პროგრამა სასწავლო კურსების სილაბუსები თვითშეფასების ანგარიში

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია II[16]	რეკომენდებულია, სილაბუსებში იყოს შეტანილი უფრო ახალი პუბლიკაციები და ჩანაცვლდეს ძველი რუსულენოვანი პუბლიკაციები.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. წარმოდგენილ სასწავლო კურსების სილაბუსებში ამოღებულია რუსულენოვანი ნაშრომები და მითითებულია დარგში აღიარებული კვლევები.
რჩევა[17]II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	საგანმანათლებლო პროგრამა სასწავლო კურსების სილაბუსები თვითშეფასების ანგარიში

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია III[18]	რეკომენდირებულია სასწავლო კურსების სახელები და შინაარსი შეესაბამებოდეს სფეროში დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას, რათა თავიდან იქნას აცილებული სამეცნიერო კვლევების გაურკვევლობა და მარგინალიზაცია. დაიხვეწოს ინგლისურ ენაზე სავალდებულო ბიბლიოგრაფიის სტანდარტები. რეკომენდებულია

[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[18]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	სასწავლო კურსები: „საერთო ქართველური ენისა და ქართველური ქვესისტემების ფონემიური სტრუქტურა (ისტორიული დინამიკა)“,„ქართული ტრილიტერატურული ენის გრამატიკის აქტუალური საკითხები (ქართველურ ქვესისტემებთან მიმართებაში)“ ისე გადამუშავდეს, რომ შეესაბამებოდეს ენათმეცნიერების სფეროში დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. უნივერსიტეტმა გადაამუშაავა სასწავლო კურსების სილაბუსები და უზრუნველყო ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის ერთგვაროვანი მითითება. ასევე, გადამუშავდა სასწავლო კურსების სათაურები. კერძოდ, სასწავლო კურსს: „საერთოქართველური ენისა და ქართველური ქვესისტემების ფონეტიკური სტრუქტურა (ისტორიული დინამიკა)“ შეეცვალა სათაური და დაერქვა: „ქართველური ენათმეცნიერების აქტუალური საკითხები 1“; სასწავლო კურსს: „ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკის აქტუალური საკითხები (ქართველურ ქვესისტემებთან მიმართებით)“ შეეცვალა სათაური შემდეგნაირად: „ქართველური ენათმეცნიერების აქტუალური საკითხები 2“. ამასთან, გადამუშავდა აღნიშნული სასწავლო კურსების შინაარსი და ტერმინოლოგია, რაც რეკომენდაციით იყო გათვალისეინებული.
რჩევა[19]II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	საგანმანათლებლო პროგრამა სასწავლო კურსების სილაბუსები თვითშეფასების ანგარიში

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია IV[20]	რეკომენდებულია სასწავლო კურსის „ლინგვოკულტუროლოგია“ გადახედვა და

[19]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[20]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	დოქტორანტურის შესაბამისი შინაარსისა და უახლესი ლიტერატურის შეტანა.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ, კერძოდ, სასწავლო კურსი „ლინგვოკულტუროლოგია“ გადამუშავდა, შეეცვალა სათაური და ეწოდა „ენისა და კულტურის მიმართების აქტუალური საკითხები“. ეს ცვლილება უთუოდ მნიშვნელოვანია, რადგან სასწავლო კურსის მანამდე არსებული სათაური არ ეყრდნობოდა თანამედროვე დასავლურ სასწავლო და სამეცნიერო ტენდენციებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსის მიზანში კვლავაც რჩება ის ტერმინები, რომლებიც არ გამოიყენება თანამედროვე დასავლურ მეცნიერებაში და ქართულ სამეცნიერო სივრცეში რუსული ენიდან გავრცელდა, თუმცა დღეისათვის, როგორც უკვე აღინიშნა, არსებობს ამ ტერმინების ჩანაცვლების ტენდენცია. სასურველია, სასწავლო კურსის მიზნებისა და შედეგების გადამუშავებაა იმგვარად, რომ იგი შეესაბამებოდეს სათაურს და სწავლების ძირითად მიზნებს.
რჩევა[21]II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	საგანმანათლებლო პროგრამა სასწავლო კურსების სილაბუსები თვითშეფასების ანგარიში

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია V[22]	რეკომენდებულია სადოქტორო ნაშრომების შემუშავება თანამედროვე კვლევის დიზაინის მიხედვით. ასევე, სადოქტორო ნაშრომებს უნდა დაერთოს ინგლისური რეზიუმეები.

[21]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[22]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია. უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ წერითი ნაშრომების გაფორმებისათვის იყენებენ ჩიკაგოს საერთაშორისო ციტირების წესს. ამასთან, უნივერსიტეტი იზიარებს რეკომენდაციას, რომ ნაშრომებს დაერთოს რეზიუმეები და ანოტაციები ინგლისურ და ქართულ ენებზე. განსახილველად წარმოდგენილ დოკუმენტებში მოწოდებულია 17 სადისერტაციო ნაშრომი, რომლებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას შემდეგი: არცერთ ნაშრომში არ არის დაცული სრულად ციტირების ჩიკაგოს სტილი და ასევე, უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების წესი და მოთხოვნები სადისერტაციო ნაშრომისათვის: სტრიქონებს შორის მანძილი, ნაშრომის სტრუქტურა და სხვ. (დანართი 5; დანართი 9). ასევე, სადისერტაციო ნაშრომებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ნაშრომებში ზოგ შემთხვევაში დასახვეწია სამეცნიერო ტერმინოლოგია და სტილი. რეკომენდებულია, მოთხოვნილი იყოს სადისერტაციო ნაშრომების გაფორმების საერთაშორისოდ აღიარებული ციტირების სტილი (ჩიკაგოს სტილი). რეკომენდებულია, დაცული იყოს სადისერტაციო ნაშრომების ფორმალური მახასიათებლები. რეკომენდებულია, სადისერტაციო ნაშრომებში დაცული იყოს სამეცნიერო ტემინოლოგია და სტილი. მიზანშეწონილია, დოქტორანტებისა და მათი სამეცნიერო ხელმძღვანელებისათვის ჩატარდეს ტრენინგები და მომზადდეს ვიდეო გზამკვლევები სამეცნიერო ნაშრომების გაფორმების, ციტირების საერთაშორისო აკადემიური სტილის გამოყენების, ნაშრომის ფორმალური მახასიათებლების შესახებ.
რჩევა[23]II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	სადისერტაციო ნაშრომები სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების წესი სადისერტაციო ნაშრომის მოთხოვნები თვითშეფასების ანგარიში

[23]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია VI[24]	რეკომენდებულია, დაწესებულებამ წაახალისოს აკადემიური პერსონალი, გამოაქვეყნოს სტატიები დოქტორანტებთან ერთად. დოქტორანტებისთვის სასარგებლო იქნება მათი ხელმძღვანელის რჩევები კვლევით პუბლიკაციებში.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი დოქტორანტებთან ერთად აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომებს ქართველური ენათმეცნიერების, დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის და სხვ. მიმართულებებით. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვეცნობით კოლექტიურ მონოგრაფიას, ასევე, ერთობლივ სამეცნიერო ნაშრომებს, საკონფერენციო მოხსენებებს.
რჩევა[25]II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	სამეცნიერო მუშაობის ამსახველი მასალა თვითშეფასების ანგარიში

სტანდარტის დასახელება	5.სწავლების ხარისხის განვითარების საშუალებები
კომპონენტის დასახელება	5.2 გარე ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია VII[26]	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გასცეს უფრო მკაფიო რეკომენდაციები პროგრამაზე მუშაობისას გარე შემფასებლის მიერ გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებთან დაკავშირებით, აჩვენოს პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს, ამ ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა და მათი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, შესაბამისი გარემოებების რისკი.

[24]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[25]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[26]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოწმობს, რომ ხარისხის სამსახურმა გამართა შეხვედრები და პრორგამის ხელმძღვანელებსა და პროგრამაში მონაწილე პირებს გააცნო რეკომენდაციები და მისი შესრულების ვალდებულებები. ამასთან, საგულისხმოა, რომ რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულება არის ერთგვარად ხანგრძლივი პროცესი სა მოითხოვს ხანგრძლივ მუშაობას, რაც ხარისხის მართვის სამსახურისა და პროგრამაში მონაწილე პერსონალის ერთობლივ გრძელვადიან მუშაობას გულისხმობს.
რჩევა[27]II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია VIII[28]	თავიდან უნდა იქნეს აცილებული სასწავლო კურსების შინაარსის და თემატური გადაფარვა
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ სასწავლო კურსების თემატური გადაფარვა არ ხდება.
რჩევა[29]II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	სადოქტორო პროგრამა თვითშეფასების ანგარიში დამატებით წარმოდგენილი მასალა

[27]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[28]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[29]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

თანდართული დოკუმენტაცია[30]

ექსპერტის ხელმოწერა

[30]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა